იკანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

●

პროგრამა "ლოგოსი"

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

თუკიდიდე

პერიკლეს სიტყვა დაცემულ გმირთა დაკრძალვაზე

წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარი
ლევან გორდეზიანისა

2014
თბილისი

© ლევან გორდეზიანი, 2014
© პროგრამა "ლოგოსი", 2014

პროგრამა "ლოგოსი"
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13 (თსუ VIII კორპუსი), ოთ. 14,
0179 თბილისი. ტელ. 225-02-58

ISBN 978-9941-437-62-5

წინასიტყვაობა

ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე (ძვ.წ. 460-396) იყო თანამედროვე და მონაწილე იმ ომისა, რომლის ისტორიაც მან აღწერა. ეს ომი დღეს "პელოპონესის ომის" სახელითაა ცნობილი. ათენსა და სპარტას შორის დაპირისპირებაში ძვ.წ. 431-404 წლებში ბერძნული პოლისების დიდი ნაწილი აღმოჩნდა ჩათრეული და ეს ომი ძველი მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი აღმოჩნდა. გარკვეული თვალსაზრისით ის შეიძლება XX საუკუნის მსოფლიო ომებსაც კი შევადაროთ.

თუკიდიდე ცნობილი ათენელი სარდლის, მარათონის ბრძოლის გმირის, მილტიადესის ნათესავი იყო. პელოპონესის ომში იგი ათენელთა ერთ-ერთი რაზმს სარდლობდა. მან ვერ დაიცვა ბრასიდასისგან ამფიპოლისი (ძვ.წ. 424), რის გამოც იგი ათენიდან გააძევეს. 20 წლის მანძილზე იგი საკუთარი თრაკიული მამულიდან ადევნებდა თვალს მოვლენებს და იქ შექმნა უაღრესად საინტერესო ნაშრომი, რომელშიც ამ ომის სარწმუნო აღწერილობა და ღრმა ანალიზია მოცემული. ავტორი გვაცნობს საკუთარ წარმოდგენებს წარსულის შესწავლის, ისტორიული თხზულების შექმნის მეთოდების შესახებ. იგი გვევლინება პრაგმატული ისტორიოგრაფიის მამამთავრად და მისი ნაშრომი ბევრი თვალსაზრისით დღემდე სანიმუშოდ რჩება ისტორიკოსთათვის. მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, თუკიდიდე აღარ მიმართავს მითოლოგიას თუ მითო-პოეტურ ტრადიციას მოვლენათა არსში გასარკვევად. იგი ცდილობს დაადგინოს მოვლენების მიზეზები, მათი მამოძრავებელი ძალები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. როდესაც მის ნაშრომს კითხულობ, ხშირად გავიწყდება, რომ იგი 25 საუკუნის წინაა დაწერილი.

როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკა ელადაში მნიშვნელოვანწილად საჯარო საქმე იყო. ამა თუ იმ წამოწყების წარმატება ხშირად იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენად მოახერხებდა იდეის ავტორი საკუთარ სიმართლეში სახალხო კრების დარწმუნებას. ბუნებრივია, რომ თუკიდიდეც საკმაო ყურადღებას უთმობს პოლიტიკოსებისა თუ სარდლების ორატორული ხელოვნების ნიმუშებს. ცხადია, მას არ ჰქონდა ამ გამოსვლათა ტექსტები, მაგრამ იგი კარგად იცნობდა ზოგადად სიტუაციას, ცალკეული პირისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებსა და არგუმენტაციას, ასევე გამოჩენილ მოღვაწეთა პიროვნულ თვისებებსაც. ამიტომ მის მიერ აღდგენილი სიტყვები არა მარტო დამაჯერებლად გამოიყურება, არამედ მკითხველისათვის ორატორთა პიროვნებასაც კარგად წარმოაჩენს.

ამგვარ სიტყვათაგან უდავოდ ყველაზე ცნობილია ათენელთა გამოჩენილი სარდლისა და საზოგადო მოღვაწის, პერიკლეს (ძვ.წ. 495/90-429) სიტყვა, რომელიც მან პელოპონესის ომის პირველ წელს დაღუპულ ათენელ მებრძოლთა დაკრძალვაზე წარმოთქვა.

დამოუკიდებლად იმისგან, რამდენად ზუსტად გადმოგვცემს ავტორი პერიკლეს ნათქვამს, ტექსტი ძალზე კარგად ასახავს ათენის საზოგადოების თავისებურებებს, იმ ღირსებებს, რომლებმაც ათენი აქციეს “სკოლად მთელი ელადისათვის”.

რენესანსიდან მოყოლებული ეს ტექსტი რჩება ევროპის პოლიტიკური თუ აკადემიური წრეების ყურადღების ცენტრში და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამაზე კარგად არავის ჩამოუყალიბებია ის პრინციპები, რომლებსაც დღევანდელი ევროპული, დასავლური ცივილიზაცია ეფუძნება.

პერიკლეს სიტყვა დაცემულ გმირთა დაკრძალვაზე (თუკიდიდე, *ისტორია*, მეორე წიგნი, 35-46)

35. ჩემამდე აქ გამოსულთა უმრავლესობა აქებდა მას,[1] ვინც დაკრძალვის დადგენილ ცერემონიალს მიამატა დაღუპულთა საფლავთან მათ პატივსაცემად სიტყვის წარმოთქმის წესი, რადგან მშვენიერია ბრძოლაში დაცემულთათვის სიტყვით პატივის მიგება, სწორედ ისე, როგორც ეს ამჟამად დაკრძალვის საჯარო ცერემონიალზე ხდება. მე კი ვამჯობინებდი, იმ მოქალაქეებს, რომლებმაც საქმით გამოიჩინეს თავი,

[1] მთარგმნელთა და კომენტატორთა ნაწილი ცდილობს იმის გამოცნობას, რომელ კანონმდებელს გულისხმობს ავტორი. თუ აქ რომელიმე კონკრეტული პირი იგულისხმება, სავარაუდოდ, სოლონი უნდა იყოს. სოლონის იდეების გავლენას ამ სიტყვაში ქვემოთაც ვხვდებით. მაგრამ, შესაძლოა, რომ ეს მხოლოდ რიტორიკული ილეთია. ამა თუ იმ კანონის დაკავშირება მისი იდეის ავტორის სახელთან ძველ საბერძნეთში მოხდა. მანამდე ადამიანი კანონს ღმერთების დადგენილად მიიჩნევდნენ და მისი შეცვლისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი იყო საჭირო. კანონმდებელს ან უშუალოდ ღმერთისაგან უნდა მიეღო ახალი წესები (ხამურაბი, მოსე) ან უნდა აღმოეჩინა, რომ დროთა განმავლობაში გამრუდებულა ოდესღაც დადგენილი და ახლა "სამართალი უნდა აღედგინა". მხოლოდ ბერძნებმა დართეს ნება ადამიანს, საკუთარი სინდისისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე დაედგინა კანონები. კანონმდებლობის ერთგვარმა ტალღამ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში გადაურა საბერძნეთს. ამ ეპოქის კანონმდებელთა შორის გამორჩეული ფიგურაა სოლონი. მან ძვ.წ. 594 წელს ათენში გატარებული რეფორმებით საფუძველი ჩაუყარა ათენის საზოგადოებრივ მოწყობას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერეს.

საქმითვე მივაგოთ პატივი და ესოდენ მრავალთა შეფასება არ იყოს დამოკიდებული ოდენ ერთი გამომსვლელის ნიჭზე, იმაზე, კარგად ილაპარაკებს ის, თუ ცუდად. მართლაც ძნელია, იპოვო შესაფერისი სიტყვები იქ, სადაც რთულია მსმენელი ნათქვამისადმი ნდობით განაწყო. მოვლენებში გათვითცნობიერებულ და თანაგრძნობით განწყობილ ათენელს სიტყვა სუსტად მოეჩვენება იმასთან შედარებით, რაც იცის და რისი მოსმენაც სურს. უცხო კი, როდესაც იმის შესახებ მოისმენს, რასაც თვითონ ვერ ჩაიდენდა, შურით აღივსება და გმირობას გადაჭარბებულად მიიჩნევს. ადამიანებს ხომ ქების ჭეშმარიტება მხოლოდ იმდენად შეუძლიათ ირწმუნონ, რამდენადაც ჩათვლიან, რომ თავადაც შეძლებენ ამგვარ საქმეთა აღსრულებას, ხოლო ის, რაც მათ შესაძლებლობებს აღემატება, მაშინვე შურსა და უნდობლობას აღძრავს. მაგრამ, რადგან ჩვენ წინაპრებს ეს ჩვეულება დაუდგენიათ, მეც დავემორჩილები და ვეცდები, შეძლებისდაგვარად, თითოეული მსმენელის სურვილისა და მოლოდინის დაკმაყოფილებას.

36. დავიწყებ წინაპრებით. ჩვენ ხომ სამართლიანობის და წესიერების ძალითაც გვმართებს მათი გახსენება. ისინი ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ ოდითგანვე და, გადასცემდნენ რა მას თაობიდან თაობას, თავიანთი სიქველით შემოგვინახეს მისი თავისუფლება დღევანდელ დღემდე. კიდევ მეტი ქების ღირსნი არიან ჩვენი მამები, რომლებმაც წინაპართა დანატოვარი თავიანთი შრომით გაამრავლეს და შექმნეს ესოდენ დიდი სახელმწიფო,[2] რომელსაც დღეს ვფლობთ და დაგვიტოვეს იგი ჩვენ, დღეს მცხოვრებ თაობას. ჩვენ კი, მოწიფულ ასაკს მიღწეულებმა, კიდევ უფრო განვამტკიცეთ მისი ძლიერება

[2] ეს ცნება აქ გადმოცემულია ტერმინით ἀρχή – ძალაუფლება, იმპერია.

და გავხადეთ იგი სავსებით მომზადებული როგორც ომიანობის, ასევე მშვიდობიანობის მდგომარეობისათვის. საგმირო საქმეები, რომლებიც ჩვენმა მამებმა ან თავად აღვასრულეთ, სხვა ქვეყნების დაპყრობისას თუ შემოსეული მტრებისგან თავდაცვისას, ბარბაროსები იქნებოდნენ ისინი, თუ ელინები, საყოველთაოდაა ცნობილი და მათზე აღარ ვილაპარაკებ. მაგრამ სანამ დაცემულთ, ვისაც დღეს ვკრძალავთ, ხოტბას შევასხამდე, ვიტყვი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო წყობისა და ცხოვრების წესის შესახებ, რამაც დღევანდელი სიდიადე მოგვიტანა. ვფიქრობ, დღეს ეს უნდა გავიხსენოთ და ჩვენებური თუ უცხოელი აქ დამსწრესათვის სასარგებლო იქნება ამის გაგება.

37. ჩვენი სახელმწიფო[3] უცხო ნიმუშის მიხედვით არ მოგვიწყვია. პირიქით, უმალ ჩვენ ვართ სხვისთვის სამაგალითო. და რადგან ჩვენს ქვეყანას მართავს არა ადამიანთა მცირე ჯგუფი, არამედ ხალხის უმეტესობა, ამ წყობას დემოკრატია[4] ჰქვია. კერძო საქმეებში ყველა

---

[3] ეს ცნება აქ გადმოცემულია ტერმინით πολιτεία – სახელმწიფო, სახელმწიფო მოწყობა.

[4] დემოკრატია, როგორც ცნობილია, ბერძნული სიტყვაა და ხალხის მმართველობას ნიშნავს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ელინური ქვეყნების უმრავლესობა, თანამედროვე გაგებით, მეტ-ნაკლებად დემოკრატიული იყო მათ ბედს ხალხი განაგებდა და პრინციპული გადაწყვეტილებები როგორც მთელი ხალხის, ასევე ცალკეული მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით მიიღებოდა. მაგრამ თუ ქვეყნის ყოველდღიური მართვა ერთი პირის, ან პირთა ჯგუფის ხელში იყო, ბერძნები მას დემოკრატიულად არ მიიჩნევდნენ. ამ ცნების გამომგონებლები დემოკრატიას უწოდებდნენ მხოლოდ ისეთ წყობას, რომლის დროსაც ყველა მოქალაქე უშუალოდ მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში. საოცარია, მაგრამ ათენში ეს

თანასწორია კანონის წინაშე. ხოლო რაც სახელმწიფო საქმეს შეეხება, საპატიო თანამდებობებზე ვირჩევთ თავიანთი ღირსებით გამორჩეულთ არა რომელიმე წოდებისადმი კუთვნილების მიხედვით, არამედ პირადი სიქველის გამო. თუ კაცს ქვეყნის[5] სამსახური შეუძლია,

---

წყობა თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე წარმატებით ფუნქციონირებდა და მხოლოდ პელოპონესის ომის მეორე ეტაპზე გამოვლინდა მისი ძირითადი ხარვეზი. კრიტიკულ ვითარებაში ხალხი ვერ ახერხებდა სწრაფად ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მიღებას და სათამაშოდ იქცა ნიჭიერი ავანტურისტებისა და დემაგოგების ხელში. თუკიდიდე და სხვა ბრძენი ელინები დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა შეთავსებულიყო დემოკრატიისა და ერთმმართველობის (ან ოლიგარქიის მცირე ჯგუფის მმართველობის) საუკეთესო ნიშნები, რა მექანიზმით უნდა შეერჩიათ მმართველთა საუკეთესო კანდიდატურები. მათი რეცეპტები განსხვავებულია, ხშირად უტოპიური, მაგრამ მათ საფუძველზე შეიქმნა სისტემა, რომელიც წარმატებით არსებობდა რომის რესპუბლიკაში რამდენიმე საუკუნის მანძილზე და უკვე ორი საუკუნეა ფუნქციონირებს თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში. მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველა მოდელი შეიძლება დავიყვანოთ ერთ სქემამდე: ხალხი ირჩევს, ერთი მხრივ, წარმომადგენლებს საკანონმდებლო და საკონტროლო ფუნქციების მქონე კოლეგიაში, მეორე მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლებით აღჭურვილ მმართველებს. ელინთათვის ამ წყობას დემოკრატია ვერ ერქმეოდა, მაგრამ ეს არის კლასიკურ ათენს გარეთ დემოკრატიის სტაბილური არსებობის ერთადერთი შესაძლო ფორმა.

[5] აქ ავტორი იყენებს ტერმინს πόλις, რომელიც ტრადიციულად ქალაქად ითარგმნება, ხოლო მისი ძირითადი ინტერპრეტაციაა ქალაქ-სახელმწიფო. პოლისი, ჩემი აზრით, არ შეესატყვისება ზუსტად არც ქალაქს ზოგ პოლისს ქალაქური ტიპის დასახლება არც ჰქონდა, არც

მას საჯარო თანამდებობის დაკავებაში ხელს ვერ შეუშლის სიღარიბე, მდაბიო წარმოშობა ან დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა. ჩვენ თავისუფლად ვცხოვრობთ ჩვენს სახელმწიფოში და ყოველდღიურობაში თავს ვარიდებთ ერთმანეთის მიმართ ეჭვიანობას. მეზობლისადმი არ განვიცდით გულისწყრომას, თუკი იგი რაღაცას თავისი სიამოვნებისათვის აკეთებს და არ გამოვხატავთ მის მიმართ თუნდაც უვნებელ, მაგრამ მძიმედ აღსაქმელ სინანულს. ლაღები ვართ პირად ურთიერთობებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვიცავთ კანონებს, მათი პატივისცემის გამო, ვემორჩილებით ხელისუფლებასა და კანონებს, განსაკუთრებით უსამართლობით დაჩაგრულთა დასაცავად დადგენილთ, და ასევე დაუწერელ კანონებს, რომელთა დარღვევაც სათაკილოდ ითვლება.

38. ჩვენ მრავალი გასართობი გვაქვს, რათა კაცმა სული დაასვენოს შრომისა და საზრუნავთაგან, რეგულარულად, წლიდან წლამდე, ვაწყობთ თამაშებსა და დღესასწაულებს. ხოლო კარგად მოწყობილი ლამაზი სახლების ოჯახური სითბო სიამოვნებას გვანიჭებს და გვიქარვებს ყოველდღიური ცხოვრების საზრუნავებს. ჩვენი ქვეყნის სიდიდის გამო ჩვენთან მთელი მსოფლიოდან მოედინება ყველაფერი, რაც გვჭირდება და უცხო ნაწარმით ისევე თავისუფლად ვსარგებლობთ, როგორც საკუთარით.

39. სამხედრო წრთვნების საქმეშიც მოწინააღმდეგისაგან განსხვავებული წესები გვაქვს. ჩვენ

სახელმწიფოს. პოლისი, პირველ რიგში, მოქალაქეთა ერთობაა, დღევანდელი პარალელები თუ მოვიხმეთ, უფრო მოქალაქეთა სააქციო საზოგადოება. ტექსტის თარგმანისას, კონტექსტიდან გამომდინარე, ამ ტერმინის სათარგმნად სხვადასხვა ტერმინს ვიყენებ: ქვეყანა, ქალაქი, სახელმწიფო, ხალხი.

ყველას ვუშვებთ ჩვენს ქვეყანაში და არ ვუშლით ხელს მის გაცნობასა თუ დათვალიერებაში, არ ვასახლებთ უცხოელებს იმის შიშით, რომ ჩვენს საიდუმლოებებში შეაღწევენ და ამით ისარგებლებენ. ჩვენ ხომ იმდენად სამხედრო მომზადებასა და ეშმაკობებს არ ვეყრდნობით, რამდენადაც საკუთარ სიმამაცეს. ჩვენი მოწინააღმდეგე ხომ თავისი აღზრდის წესით ცდილობს ბავშვობიდან მკაცრი დისციპლინის საფუძველზე გამოუმუშავოს ყმაწვილს ვაჟკაცობა, ჩვენ კი თავისუფლად ვცხოვრობთ, ამგვარი სიმკაცრის გარეშე და მაინც მხნედ ვებრძვით თანასწორ მეტოქეს. აი, დასტურიც: ლაკედემონელები მარტო კი არ იჭრებიან ჩვენს მიწაზე, არამედ მოკავშირეებთან ერთად, ჩვენ კი მარტონი ვესხმით თავს მათ მეზობლებს და იოლად ვძლევთ მათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საკუთარი ქონების დასაცავად იბრძვიან. მტერი ჯერ არ შეხვედრია მთელ ჩვენ სამხედრო ძალას, რადგან ჩვენ ერთდროულად გვიწევს ხომალდების აღჭურვაც და ხმელეთზედაც სხვადასხვა ადგილას რაზმების გაგზავნა. ერთ რაზმთან შეტაკებაში თუ მიაღწევენ წარმატებას, თავი ისე მოაქვთ, თითქოს ათენელთა გაერთიანებულ ლაშქარს სძლიეს, მარცხის შემთხვევაშიც ირწმუნებიან, რომ მთელ ჩვენ ძალებთან დამარცხდნენ. ჩვენი უპირატესობა იმაშია, რომ ხიფათს მძიმე ვარჯიშის ჩვევისა და კანონის მოთხოვნათა მიზეზით კი არ გავურბივართ, არამედ სიცოცხლის ხალისისა და თანდაყოლილი სიმამაცის გამო. ჩვენ არ ვდარდობთ წინასწარ მოსალოდნელ საფრთხეებზე, რთულ მდგომარეობაში კი არანაკლებ ვაჟკაცობას ვიჩენთ, ვიდრე ის, ვინც მძიმე შრომით მუდმივად ამისთვის ემზადება. ჩვენი ქვეყანა, ისევე როგორც სხვა ბევრი რამით, ამითიც იწვევს გაოცებას.

40. გვიყვარს მშვენიერება უბრალოებით გამორჩეული და გვიყვარს სიბრძნე განაზებულობის გარეშე.

სიმდიდრეს ვაფასებთ უფრო მისი გონივრულად გამოყენების შესაძლებლობისათვის, ვიდრე სიტყვებით თავის მოწონებისათვის. სიღარიბე არ არის ჩვენთან ვინმესთვის სამარცხვინო, მაგრამ სათაკილოა, თუ კაცი არ ცდილობს თავისი შრომით დაძლიოს იგი. ჩვენი ხალხი კერძო და საზოგადო საქმით ერთდროულად არის დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საკუთარ საქმეშია გაწაფული, თითოეული მოქალაქე კარგად ერკვევა პოლიტიკაში. რადგან მხოლოდ ჩვენ მივიჩნევთ საზოგადოებრივ საქმეთაგან შორს მდგომ კაცს არა უმოქმედო, არამედ უსარგებლო მოქალაქედ. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საზოგადო საქმეს ავნებს საჯარო განხილვა. პირიქით, არასწორად მიგვაჩნია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მოუმზადებლად, განსჯის გარეშე მიღება. მიუხედავად იმისა, რომ მამაცნი ვართ, ჩვენ ჯერ კარგად დავგეგმავთ და შემდეგ ჩავიგდებთ თავს საფრთხეში, სხვებში კი უმეცარი შეზღუდულობაა გამბედაობის მიზეზი, ხოლო საღი განსჯა გადაუწყვეტელობის. ნამდვილ ვაჟკაცად მხოლოდ ის შეიძლება მივიჩნიოთ, ვინც მწარეც იცის და ტკბილიც და სწორედ ამის გამო არ გაურბის ხიფათს. გულკეთილობა ჩვენ განსხვავებულად გვესმის, ვიდრე ადამიანების უმრავლეს ნაწილს: მეგობრებს ვიძენთ არა მათგან სიკეთის მიღებით, არამედ მათთვის სიკეთის ქმნით. უფრო სანდო მეგობარი სწორედ ის არის, ვინც სამსახურს უწევს მეორეს და დამსახურებულ მადლიერებას ამაგრებს შემდგომი სამსახურით. ნაკლებ სანდოა კაცი, რომელიც კეთილ საქმეს ვალდებულების გამო აკეთებს და არა წრფელი გულით. მხოლოდ ჩვენ ვართ, ვინც სხვას ანგარებით კი არა, არამედ უშიშრად ვეხმარებით, თავისუფალ ნებას მინდობილები.

41. ერთი სიტყვით, მე ვამტკიცებ, რომ ჩვენი ქვეყანა მთელი ელადის სკოლაა და, ვფიქრობ, თითოეულ

ჩვენთაგანს საუცხოო სინატიფითა და მოქნილობით შეუძლია კარგად წარმოაჩინოს საკუთარი პიროვნება სულ სხვადასხვა ვითარებაში. ჩემი სიტყვების სიმართლეს ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილება, რომელსაც სწორედ ჩვენი წყობის მეშვეობით მივაღწიეთ. თანამედროვე ქვეყნებიდან მხოლოდ ჩვენი არის სინამდვილეში იმაზე ძლიერი, რა სახელიც მას აქვს. მხოლოდ მის მტერს არ შერცხვება მისგან მარცხი, ხოლო მისი ქვეშევრდომი ვერ დაიჩივლებს მმართველთა არარაობას. ჩვენ დიდი საქმეებით დავადასტურეთ თანამედროვეთა და შთამომავლობის გასაოცრად ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილება. ჩვენ განსადიდებლად არ გვჭირდება ჰომეროსი. ჩვენმა სიმამაცემ გადაგვიშალა ზღვაც და ხმელეთიც და ყველგან სამუდამო ძეგლი დაგვიდგა. სწორედ ასეთი ქვეყნისათვის დადეს თავი ამ მეომრებმა და ცოცხლად დარჩენილებიც ყველანი სიხარულით შევეწირებით მას.

42. ამიტომ ვისაუბრე ამდენი ჩვენი ქვეყნის დიდების შესახებ. მინდოდა მეჩვენებინა, რომ ჩვენ ბევრად უფრო მეტს ვიცავთ, ვიდრე ის ხალხი, ვისაც მსგავსი რამ არ გააჩნია და მინდოდა მომეტანა დაღუპულთა გმირობის უტყუარი საბუთები. ძირითადი უკვე ითქვა. რადგან ყველაფერს, რასაც მე აქ ხოტბა შევასხი, ჩვენი ქვეყანა ამ ვაჟკაცებსა და მათნაირებს უნდა უმადლოდეს. მთელ ელადაში ცოტა თუ მოიძებნება ისეთი, ვისი სახელიც ამდენადვე შეესაბამება მის დამსახურებას. მიმაჩნია, რომ ბედი, რაც მათ ეწიათ, არის პირველი ნიშანი და უკანასკნელი დასტური კაცის სიქველისა, ვითარცა სახელოვანი დასასრული მათი სიცოცხლისა. ვინც ადრე თავის მოვალეობას არ ასრულებდა, მათაც კი სამშობლოსათვის ბრძოლით შეუძლიათ გაიმართლონ თავი, რადგან მათ ცუდი კარგით გამოისყიდეს და ამით სარგებლობა, რომელც მოუტანეს საერთო საქმეს, მეტი

იყო, ვიდრე მათი ცხოვრების ძველი წესით მიყენებული ზიანი. ამ ვაჟკაცთაგან კი არავინ დაკარგა მხნეობა, არ ამჯობინა სიმდიდრით ტკბობა ან ოდესმე გამდიდრების იმედი და არ შეუშინდა საფრთხეს. სამშობლოსათვის თავის დადება მათ უდიდეს სიკეთედ მიიჩნიეს. ძლიერი განსაცდელის ჟამს მათ გადაწყვიტეს შებმოდნენ მტერს, დაივიწყეს ყველაფერი და საკუთარ ძალებს დაენდნენ. მათ სიკვდილი ამჯობინეს დათმობას, რითიც თავიდან აიცილეს სიმხდალის ბრალდება, გადამწყვეტ მომენტში დაამარცხეს შიში სიკვდილით და სამარადჟამო სახელი მოიპოვეს.

43. მათ პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე. ხოლო ცოცხლად დარჩენილებს მართებთ, ღმერთებს სთხოვონ, რომ ბედმა მეტად გაუღიმოს, ხოლო მტრის მიმართ ისეთივე შეუდრეკელნი იყვნენ, როგორც დაღუპულები. მოქალაქეთა უმეტესობა მხოლოდ ორატორისგან ნუ შეიტყობს, რა კარგია მტრის მოგერიება, რაზეც სიტყვას აღარ გავაგრძელებ, არამედ თითოეულ თქვენთაგანს, დაე, ყოველდღიურად ჰქონდეს ქვეყნის მშვენიერებითა და მიღწევებით ტკბობის საშუალება. როდესაც ქვეყნის სიდიადით იამაყებთ, გახსოვდეთ, რომ არსებობდნენ ღირსეული ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ, რა არის ვალი და აღასრულეს იგი. წარუმატებლობის დროსაც მათ არ დაუკარგავთ ღირსება და ქვეყანას უმშვენიერესი ძღვენი უბოძეს საკუთარი სიცოცხლე. ამით მათ საუკუნო სახელი და საყოველთაოდ ცნობილი სამარე მოიპოვეს, არა მარტო აქ, სადაც დაიკრძალებიან, არამედ ყველგან, სადაც მათი სიტყვით თუ შესაფერისი საქმით განდიდების მიზეზი მიეცემათ. ცნობილ კაცთა სამარე ხომ მთელი დედამიწაა და მათი ხსოვნა აღბეჭდილია არა მარტო მათ მშობლიურ მიწაზე აღმართული სტელების განმადიდებელ წარწერებში, არამედ უცხო ქვეყნებშიც

ხალხის გულები ინახავს მათ რწმენას, უფრო მეტად, ვიდრე ხსოვნას მათი კონკრეტული სახელოვანი საქმის შესახებ. ამგვარი ხალხია ჩვენთვის სამაგალითო, ბედნიერებად მიიჩნიეთ თავისუფლება, ხოლო თავისუფლებად სიმამაცე და მხნედ შეხვდით ომის ხიფათს. გაჭირვებულმა და უიმედომ რისთვის უნდა იბრძოლოს, მაგრამ სამშობლოსათვის თავგანწირვა მართებს მას, ვისაც წარუმატებელი ომი ცხოვრებას დაუმძიმებს. კეთილშობილი ადამიანისათვის დამცირება სიკვდილზე უარესია, აღსასრული კი უმტკივნეულო ხდება, თუ საკუთარი ძალის შეგრძნებითა და საერთო საქმის წარმატების იმედით კვდები.

44. ამდენად მე არ ვგლოვობ დაღუპულთა მშობლებთან ერთად და მივმართავ მათ ნუგეშის სიტყვებით. ბედნიერია ისიც, ვისაც ასეთი მშვენიერი აღსასრული ედირსა,[6] ან თქვენსავით კეთილშობილი მწუხარება ერგო და ისიც, ვინც ბედნიერად ცხოვრობდა და ასევე აღესრულა. მესმის, რომ ძნელია გაგიქარვოთ შვილის სიკვდილით გამოწვეული მწუხარება, თქვენი დაკარგული ბედნიერება ყოველთვის გაგახსენდებათ, როდესაც სხვისას დაინახავთ. განუცდელ ბედნიერებას არ მოაქვს ტკივილი, მაგრამ შეჩვეული ბედის დაკარგვა მტანჯველია. ვინც კიდევ ახალგაზრდა ხართ და სხვა შვილის გაჩენა შეგიძლიათ, ამით ინუგეშეთ თავი. ახალი ბავშვები მშობლის ნუგეშიცაა და ქვეყნის ძალაც. ვინც არ ზრუნავს ბავშვების მომავალზე, ვერც თანამოქალაქეთა სასარგებლო სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. მოხუცებმა კი გაიხარეთ იმით, რომ სიცოცხლის დიდი ნაწილი ბედნიერად

---

[6] აქ შეიძლება დავინახოთ სოლონის გავლენა. ჰეროდოტეს თანახმად (I 32), სოლონი ლიდიის მეფე კროისოსს, რომელიც საარაკო სიმდიდრით იყო ცნობილი, ბედნიერების საზომად სწორედ მშვენიერ აღსასრულს უსახელებს.

განვლეთ და ცოტაღა დაგრჩათ, დარჩენილ დღეებს კი შვილების დიდება დაგიმშვენებთ. დიდებისადმი ლტოლვა არასდროს ქრება. იმ ასაკშიც კი, როდესაც კაცი საზოგადოებისთვის უსარგებლო ხდება, მას, როგორც ზოგიერთნი ამბობენ, ფულის მოხვეჭა კი არ ანიჭებს უდიდეს სიამოვნებას, არამედ პატივისა.

45. თქვენ კი, ამ გმირების ვაჟებსა და ძმებს გაგიჭირდებათ მათ სახელთან შეჯიბრი და უდიდესი ვაჟკაცობითაც მხოლოდ მიუახლოვდებით მათ დიდებას. სიცოცხლეში ღირსეული ხალხი შურს აღძრავს და მხოლოდ მიცვალებულებს ასხამენ უშურველად ხოტბას (ისინი ხომ მეტოქეები აღარ არიან). მოკლედ უნდა შევეხო დაქვრივებულ ქალბატონთა სიქველეს და მათ ეს რჩევა მივცე: ნუ დაკარგავთ თქვენ ქალურ ბუნებას როგორც მეუღლეები და მოქალაქეები; თქვენი უდიდესი დამსახურება იქნება, თუ კაცები ნაკლებად ილაპარაკებენ თქვენზე აუგსაც და ქებასაც.

46. ჩვენი წინაპრების წესისამებრ, დაღუპულთა პატივსაცემად მე ვთქვი, რისი თქმაც საჭიროდ მიმაჩნდა. ქვეყანამ ნაწილობრივ მიაგო მათ პატივი ამ ცერემონიალით, და ის იზრუნებს მათ შვილებზედაც სრულწლოვანებამდე. ეს მაღალი ჯილდოა, გვირგვინის მსგავსი, რასაც გმირების შვილები იმსახურებენ. ქვეყანას, სადაც ომში გამოვლენილი სიქველე უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნება, საუკეთესო მოქალაქეები ეზრდება.

ახლა კი, მას შემდეგ, რაც თქვენიანებს დაიტირებთ, გთხოვთ დაიშალოთ.